

ნათია დუნდუა

ბ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული სპარსული ხელნაწერების ალბომი

რეზიუმე

კ. კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრის აღმოსავლურ კოლექციაში დაახლ. 700 სპარსული ხელნაწერი ინახება. ხელნაწერთა თემატიკა მრავალგვარია: პოეზია, ისტორია, ეპისტოლარული ლიტერატურა, ლექსიკოლოგია, მედიცინა, მხატვრული ლიტერატურა, რელიგია, ასტრონომია, გეოგრაფია, გრამატიკა და ა.შ. ხელნაწერთა ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს მე-14-მე-19 საუკუნეებს. სპარსული კოლექციის ხელნაწერების შიფრებია PK, PL და PAC.

სტატიაში განხილულია აღმოსავლური კოლექციის სპარსული ხელნაწერები (ისტორიული დოკუმენტების გამოკლებით) და მათი ისტორიული, კულტურული, სოციალური და საგანმანათლებლო მნიშვნელობა. წარმოდგენილი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში შექმნილი სპარსული ხელნაწერების ალბომი.

საკვანძო სიტყვები: სპარსული ხელნაწერები; კოლექციები; ალბომი; კოდოლოგია

აღმოსავლურ ხელნაწერთა ფონდი

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის აღმოსავლური ფონდი აერთიანებს სპარსულ, არაბულ, თურქულ, აგრეთვე, სომხურ, ებრაულ, სირიულ და ეთიოპიურ ხელნაწერებს. სპარსული, არაბული და თურქული ხელნაწერები აღინიშნება სამი ლიტერით: AC, K და L. აღნიშნულ ფონდებში დაცულ ხელნაწერთა დიდი ნაწილი შესწავლილია. მათი შესწავლა და კატალოგიზაცია დაიწყო 1960-იან წლებში აკად. გიორგი წერეთლისა და პროფ. ილია აბულაძის ინიციატივით. ქართულად გამოცემულია K კოლექციის ხელნაწერთა კატალოგი,¹ მთლიანად კატალოგიზირებულია L კოლექცია და მისი ერთი ნაკვეთი გამოცემულია,² ასევე, სრულადაა აღწერილი AC კოლექცია.³

¹ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის არაბულ, თურქულ და სპარსულ ხელნაწერთა კატალოგი (K კოლექცია). შეადგინეს ც. აბულაძემ, რ. გვარამიამ, მ. მამაცაშვილმა, თბილისი, 1969.

² კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის არაბულ ხელნაწერთა კატალოგი (L კოლექცია I ნაკვეთი). შეადგინეს რ. გვარამიამ, ლ. მამულიამ, ნ. ყანჩაველმა, თბილისი, 1978.

K კოლექცია სპარსული, არაბული და თურქული ხელნაწერებისგან შედგება და მოიცავს XV-XIX საუკუნეების ხელნაწერებს. ის წარმოადგენს თბილისში მცხოვრები ყაჯართა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენლის, გენერალი არდამირ აფშარ მაჯდ-ოს-სალტანეს პირად კოლექციას. მაჯდ-ოს-სალტანე, როგორც თავად აღნიშნავს თავის თხზულებაში „ქალაქ თბილისის აღწერა“, ⁴ 1903 წელს ურმიიდან თბილისში გადმოსახლებულა ოჯახთან ერთად. ამავე კოლექციაში ინახება მაჯდ-ოს-სალტანეს მეორე თხზულებაც „ოსმალეთის აგრესიის ისტორია“ (PK 170/210), სადაც ავტორი თავის თავზეც მოგვითხრობს და ამბობს, რომ მის შესახებ ცალკე ისტორიის დაწერა შეიძლება, იმდენი რამ უნახავს და გადახდენია თავს. ⁵ მაჯდ-ოს-სალტანეს კუთვნილი ხელნაწერები თავად გვიამბობენ მათ მფლობელზე, მის ინტერესებზე, შეხედულებებზე, გვაცნობენ მას, როგორც პროგრესულად მოაზროვნე, განათლებულ და მრავალმხრივი ინტერესების მქონე პიროვნებას.

K კოლექციის ხელნაწერები სხვა ხელნაწერებთან ერთად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმიდან 1958 წელს გადმოეცა მუზეუმის ბაზაზე შექმნილ ხელნაწერთა ინსტიტუტის (დღევანდელი კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი) ფონდს.

აღნიშნულ ფონდში დაცულ ხელნაწერთა გადაწერის ადგილებად გვხვდება სპარსული ტოპონიმები: შირაზი, ისპაჰანი, თავრიზი, თეირანი, ქერბალა, დილმანი, ქაბული, ჰერათი, ურმია და სხვ. შედგენილობის თვალსაზრისით, კოლექცია საკმაოდ მრავალფეროვანია და მუსლიმურ სამყაროში ცნობილ თხზულებათა შემცველი ხელნაწერებისაგან არის დაკომპლექტებული. აქ წარმოდგენილია შემდეგი დარგები: ისტორია, გრამატიკა, მედიცინა, პოეზია, დოგმატიკა, ლექსიკოგრაფია, რიტორიკა, ლოცვები, ალქიმია, ზოოლოგია, ასტრონომია, გეომეტრია, არითმეტიკა, მისტიკა, ბიოგრაფია, სხვადასხვა მინაარსის კრებულები.

L კოლექცია (ე.წ. ადგილობრივი) მოიცავს საქართველოდან, აზერბაიჯანიდან, დაღესტნიდან და საქართველოს მოსაზღვრე თურქეთის პროვინციებიდან შემოსულ ხელნაწერებს. ეს ხელნაწერები წლების განმავლობაში შემოდიოდა კერძო პირთა მეშვეობით და გროვდებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალში, ე.წ. კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტში და შემდეგში – მის ბაზაზე გახსნილ ისტორიის ინსტიტუტში. საბოლოოდ ხელნაწერებმა თავი მოიყარეს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში. აქედან ისინი მოხვდნენ ხელნაწერთა ინსტიტუტში, სადაც მათი რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. აღნიშნულ კოლექციაში შემავალ ხელნაწერთა ქრონოლოგია მოიცავს XIV-XIX საუკუნეებს. L კოლექცია მზარდია.

AC კოლექცია (იგივე, შუააზიური) მოიცავს დავით ჩხენკელისა და გიორგი წერეთელის მიერ სამარყანდში, ბუხარასა და შუა აზიის სხვა კულტურულ ცენტრებში მოგზაურობის დროს შეგროვილ ხელნაწერებს, რომლებიც 1935 წელს

³ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის სპარსულ ხელნაწერთა კატალოგი (AC კოლექცია). შეადგინა მ. მამაცაშვილმა, თბილისი, 1977.

⁴ მაჯდ-ოს-სალტანე, *ქალაქ თბილისის აღწერა*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმანი და კომენტარები დაურთო მაია მამაცაშვილმა, „მეცნიერება“, თბილისი, 1971.

⁵ ვ. ფუთურიძე, მაჯდ-ოს-სალტანე და მისი შრომები, *ქალაქ თბილისის აღწერა*, 1971: 7.

გადაეცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს, ხოლო შემდგომ ხელნაწერთა ინსტიტუტს. ხელნაწერთა უმრავლესობა გადაწერილია XVI-XIX საუკუნეებში. კოლექციაში, ძირითადად, წარმოდგენილია საერო ლიტერატურის ძეგლები, როგორც პროზაული, ისე პოეტური ნაწარმოებები. აქვე ინახება ისტორიული, საღმრთისმეტყველო, ასტრონომიული და სამკურნალო ხასიათის თხზულებების შემცველი ხელნაწერებიც.

აღმოსავლური კოლექციების ზოგადი დახასიათების შემდეგ გადავიდეთ უშუალოდ სპარსული ხელნაწერების კოლექციასა და ჩვენ მიერ მომზადებულ ალბომზე.

ალბომი

2019 წელს კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში აღმოსავლურ და სომხურ ხელნაწერთა განყოფილებაში მუშაობის დაწყებისთანავე, განყოფილების ხელმძღვანელმა, ბატონმა ზაზა ალექსიძემ, დეპარტამენტის წევრებს შემოგვთავაზა მოგვემზადებინა აღმოსავლურ ფონდში დაცულ არაბულ, სპარსულ, თურქულ და სომხურ ხელნაწერთა ალბომები. სპარსული ხელნაწერების ალბომის მომზადება დაგვკავალა ხათუნა ბაინდურაშვილსა (ისტორიული საბუთები) და მე (დანარჩენი).

სპარსული ხელნაწერების პირველადი აღწერილობა (სამივე კოლექციისა) ეკუთვნის ვლ. ფუთურიძეს. ეს აღწერილობები დაედო საფუძვლად ჯერ მ. მამაცაშვილის მიერ მომზადებულ სპარსულ ხელნაწერთა კატალოგებს (იხ. ზევიტ), ხოლო შემდეგ ჩვენ მიერ მომზადებულ ალბომს.

ალბომისთვის სპარსული ხელნაწერების კოლექციიდან შეირჩა სულ 60 ხელნაწერი. შერჩევისას ყურადღება მიექცა როგორც ხელნაწერის გარეგნულ მხარეს (გაფორმება, მინიატურები, კალიგრაფია), ასევე მათ სიძველესა და შინაარსს. გარდა ამისა, შევეცადეთ, რაც შეიძლება სრულად წარმოგვეჩინა აღნიშნულ კოლექციებში წარმოდგენილ სპარსულ ხელნაწერთა მრავალფეროვნება დარგების თვალსაზრისით.

ალბომი ორენოვანი იქნება – ხელნაწერთა პალეოგრაფიული და კოდიკოლოგიური მონაცემები (ლიტერი, რაობა, თარიღი, გვერდების რაოდენობა, ფურცლის ზომა, მასალა, ყდა, სვეტებისა და სტრიქონების რაოდენობა, ამიების ზომები, კალიგრაფიის ტიპი, გაფორმება, ავტორი, სათაური, შინაარსი და სხვ.) წარმოდგენილი იქნება ქართულ და ინგლისურ ენებზე. ალბომზე მუშაობისას დაზუსტდა და შეივსო აღწერილობებში მოცემული ინფორმაცია. ალბომს ერთვის დარგობრივი და ავტორთა საძიებელი.

სპარსული ხელნაწერების კოლექცია

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია 800-ზე მეტი სპარსული ხელნაწერი. მათგან ყველაზე ძველი დათარიღებულია XIV საუკუნით. კოლექციაში შემავალ ხელნაწერთა უმრავლესობა კი XVI-XIX საუკუნეებს მოიცავს. აქ დაცულ ხელნაწერთა დიდი ნაწილი გადაწერილია ნასთალიყით, თუმცა მრავლად ვხვდებით ასევე ნასხითა და შექასთეთი ან შექასთენარევი ნასთალიყით გადაწერილ ხელნაწერებს.

სპარსულ კოლექციაში თავმოყრილი ხელნაწერები აღინიშნება PK, PL და PAC ლიტერებით.

PK

PK (ე.წ. ყაჯართა) კოლექცია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეკუთვნის მაჯდ-ოს-სალტანეს. სულ 278 ერთეულია. კოლექციაში შემავალი სპარსული ხელნაწერებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა ძველი განმარტებითი ლექსიკონები (მაგ., ჯაჰანგირის), საისტორიო თხზულებები (მაგ., ისქანდერ მუნშის, ვასაფის, მოჰამედ თაჰერის), ცნობილი პოეტების (მაგ., ჰაფეზის, საადის) დივანები, საექიმო წიგნები, სხვადასხვა შინაარსის კრებულები და სხვ.

PK კოლექციიდან ალბომისთვის შერჩეული ხელნაწერები ჟანრობრივად საკმაოდ მრავალფეროვანია, წარმოდგენილია პოეზია, ასევე, რელიგიის, ლექსიკოგრაფიის, მედიცინის, ისტორიის, პოეტიკის, სამხედრო ხელოვნების, ალქიმიის, მოგზაურობისა და სხვა შინაარსის შემცველი ხელნაწერები. ამათგან ყველაზე ძველია ხელნაწერი PK 45/80 (პოეტიკა), რომელიც ჰიჯრის 851 (= 1448) წელსაა გადაწერილი.

ამ კოლექციაშია დაცული მაჯდ-ოს-სალტანეს შრომა تجوزات قشون دولت عثمانی „ოსმალეთის აგრესიის ისტორია“ (PK 170/210). აღსანიშნავია, რომ ნაშრომის მეორე ნაწილი გადმოწერილია ისქანდერ მუნშის „თარიხ-ე ალემ არადან“.

მაჯდ-ოს-სოლტანეს ამავე კოლექციაში დაცულია ხელნაწერი PK 174/214 „კავკასიის და თბილისის აღწერა“, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმოადგენს მე-19 საუკუნის ბოლო წლების თბილისის ცხოვრების აღწერას. ხელნაწერი იწყება თარიღით 11 თვის 4, 1312 წელი (1894 წლის 3 დეკემბერი). ხელნაწერის ბოლოს წვრილად მიწერილია, რომ წიგნი გადაწერა სეიფულ-ლაჰმა 1312 წელს (= 1894), ზულ-ჰაჯჯას თვის 13-ს (3 დეკემბერი) მაღალხარისხოვანი ამირთა ამირის სამსამ-ნეზამის (ე.ი. იმავე მაჯდ-ოს სალტანეს) ბრძანებით. ნაშრომში დაწვრილებითაა აღწერილი თბილისის კულტურულ-ეკონომიკური ყოფის სხვადასხვა მხარე. ხელნაწერის ტექსტი მაია მამაცაშვილს აქვს გამოქვეყნებული, ხოლო ვლ. ფუთურიძეს ეკუთვნის მაჯდ-ოს-სოლტანესა და მისი შრომების შესახებ წერილი, რომელიც ერთვის მ. მამაცაშვილის პუბლიკაციას.⁶

⁶ მ. მამაცაშვილი (გამომც.), *ქალაქ თბილისის აღწერა*, თბილისი, 1971.



ხეც, PK 174/214

აღნიშნულ კოლექციაში საყურადღებოა, აგრეთვე, 1698 წელს გადაწერილი „ქალაქ ჰერათის ისტორია“ (PK 35/69); სისტანის ისტორია (PK 124/160); ჰიჯრის 994 = 1585 წელს გადაწერილი საადის „გოლესტანი“ (PK 38/73); ხელნაწერი PK 40/75 სამხედრო, საინჟინრო საქმის შესახებ, რომელშიც მოცემულია სქემები და გეგმები ქალაქის გზების, ნაგებობების, სანგრებისა და სხვა პუნქტებისა; ჰიჯრის 1303 = 1891 წელს გადაწერილი ალქიმია (PK 114/150) და სხვ. ხელნაწერები.

PL

ალბომში შესული PL კოლექციის ხელნაწერებიდან ყველაზე ძველია XIV საუკუნით დათარიღებული ჰაფეზის დივანი (PL-584).



ხეც, PL-584

მხატვრული გაფორმების თვალსაზრისით, აღსანიშნავია ჰიჯრის 933 (=1527) წელს გადაწერილი საადის ბუსტანი (PL-748), რომელსაც აქვს ლამაზი უნვანი და, ასევე, 5 მინიატურა; აგრეთვე, რუმის მესნევი (PL-196); ფირდოუსის „შაჰ-ნამე“ (PL-582) და სხვ.

შინაარსობრივი თვალსაზრისით, განსაკუთრებით საყურადღებოა: მირზა მეჰდი ხანის ნადირ შაჰის ისტორია (PL-579), რომელსაც ერთვის 5 მინიატურა; XV საუკუნეში გადაწერილი ასტრონომიული ტრაქტატი (PL-612); PL 621 „ზიჯი“ – ულულ ბეგის ასტროლოგიური კატალოგი.⁷ თბილისში მცხოვრები ირანელების თხზულებები (PL-652/653) და სხვ.

⁷ შდრ. ქართული ვახტანგ VI-ის თარგმანი.



ხეც, PL-579

PAC

PAC კოლექციაში შემავალ ხელნაწერთა უმეტესობა ტიპურ შუააზიურ ხელნაწერს წარმოადგენს: ყდა ჩვეულებრივ წითელი ან მწვანე ფერისაა, პრიალა, მედალიონებითა და ამიებით ტვიფრული. ქრონოლოგიურად ხელნაწერები განეკუთვნებიან XIV-XX საუკუნეებს. წარმოდგენილია სხვადასხვა დარგი: მხატვრული ლიტერატურა, ისტორია, გეოგრაფია, ბიოგრაფია, მედიცინა, ასტრონომია, გრამატიკა, კალიგრაფია, ლექსიკოგრაფია, მათემატიკა, ქიმია, სამართალი, პოლიტიკა, თეოლოგია, სუფიზმი და სხვ. კოლექციაში შედის სულ 317 სპარსული ხელნაწერი.

PAC კოლექციაში დაცული ხელნაწერებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ნიზამი განჯელის (1141-1203/09 წწ.) პოეტური კრებულის 1428 წელს ცნობილი კალიგრაფის -ის მიერ გადაწერილი ნუსხა (PAC-458), რომელიც საყურადღებოა არა მხოლოდ თავისი სიძველით, არამედ მდიდარი მხატვრული გაფორმებითაც; აგრეთვე, ჰიჯრის 865 (=1461) წელს გადაწერილი ჰაფეზის დივანი (PAC 351); შამსე თაბრიზის ყაზალები (PAC 358); საადის „გოლესტანი“ (PAC 360);

ჰიჯრის 1106 (= 1694) წელსა (PAC 417) და ჰიჯრის 835-836 (=1432) წელს (PAC 420) გადაწერილი ჯალალ ედ-დინ რუმის „არსთა მესნევი“; გამორჩეულად მდიდარია მინიატურებით (სულ 61 მინიატურა) ხელნაწერი PAC 462, რომელიც წარმოადგენს „შაჰ-ნამეს“ დამატების „ბარზუ-ნამეს“ ტექსტს; კოლექციიდან აღსანიშნავია, ასევე, არაბულ ენაზე დაწერილი ყურანი ქვეშ მიწერილი სპარსული სიტყვასიტყვითი თარგმანით (PAC 732).

დასკვნა

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ სპარსულ ხელნაწერთა კოლექცია უაღრესად საინტერესო და მრავალფეროვანია, შესასწავლი და გამოსაქვეყნებელი ბევრია. აღნიშნული ალბომი იქნება ჩვენი პირველი ნაბიჯი, რითაც, ვფიქრობთ, ხელს შევუწყობთ საქართველოში დაცული სპარსული ხელნაწერების პოპულარიზაციას და ვეცდებით, ნელ-ნელა უფრო ღრმად შევიდეთ სპარსულ ხელნაწერთა ამ მრავალფეროვან სამყაროში.



ხეც, PAC 462

გამოყენებული ლიტერატურა

1. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის არაბულ, თურქულ და სპარსულ ხელნაწერთა კატალოგი (K კოლექცია). შეადგინეს ც. აბულაძემ, რ. გვარამიამ, მ. მამაცაშვილმა, თბილისი, 1969.
2. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის არაბულ ხელნაწერთა კატალოგი (L კოლექცია I ნაკვეთი). შეადგინეს რ. გვარამიამ, ლ. მამულიამ, ნ. ყანჩაველმა, თბილისი, 1978.
3. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის სპარსულ ხელნაწერთა კატალოგი (AC კოლექცია). შეადგინა მ. მამაცაშვილმა, თბილისი, 1977.
4. მაჯდოს-სალტანე. ქალაქ თბილისის აღწერა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმანი და კომენტარები დაურთო მაია მამაცაშვილმა, „მეცნიერება“, თბილისი, 1971.